დამტკიცებულია:

სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის

2019 წლის 25 ივლისის N01-02/ 139
ბრძანებით

სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი“

სასწავლო პროცესისმარეგულირებელი წესი

თავი I .

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საფუძვლები და რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ კოლეჯის - ,,ბლექსი“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას, პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. ასევე, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვასაკითხებს, მათ შორის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი პროგრამების / ტრენინგ - კურსების განხორციელების საკითხებს.
2. საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებებით, კოლეჯის წესდებითა და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიხედვით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრაცია - კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობის პირები; ბ) დირექცია - კოლეჯის დირექტორი და დირექტორის მოადგილე;

გ) დუალური პროგრამა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შედგენილი მოდულური პროგრამა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით, რაც გულისხმობს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ის ან მეტის რეალურ სამუშაო გარემოშიმიღწევას, საწარმოსთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში და საწარმოში სწავლების პერიოდში პროფესიული

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურებას; დ)ინსტრუქტორი - საწარმოს მიერ პროფესიული სტუდენტ(ებ)ის სწავლებისა და შეფასებისათვისგამოყოფილი პროგრამის/მოდულის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაოგამოცდილების მქონე პირი;

ე) კოლეჯი - სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი";

ვ) მოდულური პროგრამა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტისსაფუძველზე შედგენილი პროგრამა;

ზ)მსმენელი - პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე/ტრენინგ-კურსზე/ცალკეულ მოდულზე/ Cisco- ს ქსელურ აკადემიაში ჩარიცხული პირი;

თ) სერტიფიკატი - კოლეჯის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების/პროგრამითნპროფესიულიგადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის, აგრეთვე ცალკეულიმოდულებით განსაზღვრული სწავლისშედეგის მიღწევას;

ი)შიდა სერტიფიკატი - ტრენინგ-კურსის გავლის, Cisco-ს ქსელური აკადემიის სასწავლო კურსისგავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

კ)ტრენინგ-კურსი სასწავლო კურსი, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციისდამადასტურებელიდოკუმენტის გაცემა;

2. ტერმინებს, რომლებიც ამ წესით არ არის განმარტებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

თავი I I.
პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი
(ცვლილება: სსიპ კოლეჯ ბლექსის დირექტორის ბრძანება 20.08.2021, N 01-02/213

ცვლილება: სსიპ კოლეჯ „ბლექსის" დირექტორის ბრძანება 14.04.2022, N01-02/60)

მუხლი 3. რეგულირების სფერო და მიზანი

1. სსიპ კოლეჯ „ბლექსის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებითა და წინამდებარე თავით.
2. წინამდებარე თავი სსიპ კოლეჯ „ბლექსის" (შემდგომში - „კოლეჯის") კომპეტენციის ფარგლებში, განსაზღვრავს კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესსა და პროცედურას, აგრეთვე კოლეჯის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე და არაფორმალური განათლების ფარგლებში განსახორციელებელ ტრენინგ-კურსებსა და პროგრამებზე პირთა ჩარიცხვის პროცედურას.
3. ამ თავის მიზანია შექმნას თანაბრად ხელმისაწვდომი, გამჭვირვალე პროცედურა პროფესიული განათლების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 4. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. აპლიკანტთა რეგისტრაციის, კონსულტირების, ჩასარიცხად წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიღებისა და ჩარიცხვის ეტაპის ორგანიზების მიზნით, კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად უნდა შედიოდეს: კოლეჯის პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, დუალური პროგრამების კოორდინატორი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი და იურისტი.
2. დაინტერესებული პირის მიერ, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი/ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომისიის წევრი დაინტერესებულ პირს:

ა) გააცნობს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს;

ბ) მიაწვდის ინფორმაციას კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ (კონკრეტულ პროგრამაზე დაშვებისა და შერჩევის წინაპირობები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები (არსებობის შემთხვევაში), დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა);
გ) მიაწვდის ინფორმაციას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარება რეგისტრაციაში.
3. დაინტერესებულ პირებს, მიმართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში უწევს კონსულტირებას პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

მუხლი 5. კოლეჯის მიერ მიღების გამოცხადება და აპლიკანტთა რეგისტრაცია
1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რეესტრის წარმოების სპეციალისტი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ავსებს ელექტრონულ კითხვარს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
2. ანკეტა-კითხვარში მიეთითება ინფორმაცია კოლეჯისა და იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელზეც ცხადდება მიღება, ასევე - თითოეულ პროგრამაზე მისაღები ადგილების (მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე პირთა მიღებისთვის განსაზღვრული ადგილებისა) და სხვა პირობების თაობაზე.
3. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, კოლეჯი მიღებას გამოაცხადებს ორი სასწავლო გეგმით (გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს და სასწავლო გეგმა, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს), თუ თავისუფალი ადგილების რაოდენობა (ჯგუფის რენტაბელობის გათვალისწინებით) იძლევა ორი დამოუკიდებელი ჯგუფის ფორმირების საშუალებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ყველა პროგრამა (გარდა გარდა იმ პროგრამებისა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში), რომელზეც შესაბამის წელს გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში.
5. კოლეჯის იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების მიღება შესაძლებელია პროგრამის თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციის წინასწარი თანხმობით.
6. კოლეჯი უფლებამოსილია, აპლიკანტთა რეიტინგული სიების მისთვის ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, მისაღები ადგილების რაოდენობა გაზარდოს პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში. ამ მიზნით, დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი განათავსებს შესაბამის ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, იმავე დღეს.
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, პირი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ელექტრონულად, რეგისტრირდება შესაბამის პროგრამაზე/ პროგრამებზე.
8. პირს, რომელსაც მულტიდისციპილინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო პორტალზე გააკეთოს შესაბამისი არჩევანი (სისტემის მიერ (დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე) შეთავაზებული პროგრამების ფარგლებში).
9. რეგისტრაციისას, სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა, გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის საფუძველი.
10. აპლიკანტთა რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი დირექტორს წარუდგენს ინფორმაციას პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობის, არაქართულენოვანი აპლიკანტების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების, აგრეთვე, იმ აპლიკანტების შესახებ, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის ბრძანების 23-ე მუხლის შესაბამისად, უფლება აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გარეშე ჩაირიცხონ.

მუხლი 6. აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შეფასებას.

2. კოლეჯის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისა და კოლეჯის მიერ ორგანიზებული შიდა შერჩევის საფუძველზე. კოლეჯის შიდა შერჩევის წესი და პირობები რეგულირდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. აპლიკანტი, რომელიც ვერ გადალახავს ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ტესტირების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კარგავს კოლეჯის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

4. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად, კოლეჯის შიდა შეფასების მექანიზმებთან ერთად, შესაძლებელია, აპლიკანტთა შეფასება განხორციელდეს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული აკადემიური უნარების ტესტირების საფუძველზე.

5. კოლეჯის დირექტორი, ყოველწლიურად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განსაზღვრავს აპლიკანტთა შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს, თითოეულ იმ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (აგრეთვე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში) რომელზეც შესაბამის წელს ცხადდება მიღება.

6. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, შეფასების თითოეულ ეტაპზე, მინიმალური კომპეტენციის ზღვარია მაქსიმალური შეფასების 25%. აპლიკანტი, რომელიც ვერ გადალახავს, შეფასების რომელიმე ეტაპით განსაზღვრულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კარგავს კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

7. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი აცხადებს სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტთა მიღებას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტები გაივლიან შესაბამისი პროგრამისთვის დადგენილ შეფასების პროცედურას.

მუხლი 7 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულ იმ აპლიკანტთა შეფასება, რომელთაც უფლება აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხონ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გარეშე

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გარეშე ჩარიცხვის უფლება აქვთ:

ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს
კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი
წესით.

დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

2. კოლეჯის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების რეგისტრირების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს შესაბამის პროგრამაზე ამ პირთა შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აპლიკანტების შეფასების შედეგებს კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შერჩევის პერიოდის დასრულებამდე.

4. კოლეჯის დირექტორი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი

შესაბამის ინფორმაციას ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვა სრულდება დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების ეტაპის დაწყებამდე.

მუხლი 7[1]. კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების თარიღები

1. კოლეჯის დირექტორი ყოველწლიურად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) აპლიკანტთა შერჩევის ვადებს;

ბ) კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების თარიღებს;

2. კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების თარიღების შესახებ ინფორმაციას, შესაბამის პროგრამაზე, აპლიკანტთა შერჩევის კომისია, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე, აცნობებს აპლიკანტს, აპლიკანტის მიერ, რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე.

3. კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების თარიღებს, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, კოლეჯის PR მენეჯერი განათავსებს კოლეჯის ვებ-გვერდზე, ხოლო რეესტრის წარმოების სპეციალისტი ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

4. აპლიკანტს, რომელიც კოლეჯის მიერ განსაზღვრულ თარიღში ვერ ახერხებს კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შეფასებაზე გამოცხადებას, უფლება აქვს, შეფასების თარიღამდე არაუგვიანეს 2 დღით ადრე, კოლეჯს მომართოს წერილობითი განცხადებით, განსხვავებულ თარიღში შეფასების მოთხოვნით. შესაძლებელია განცხადების ელექტრონული ფორმით წარმოდგენა მისამართზე info@blacksea.edu.ge.

5. საპატიო მიზეზი, რომელიც აპლიკანტს აძლევს განსხვავებულ თარიღში შეფასების უფლებას, არის:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც გამორიცხავს შეფასების პროცესში აპლიკანტის ჩართვის შესაძლებლობას;

ბ) სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების თარიღების დამთხვევა.

გ) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც გამორიცხავს კოლეჯის მიერ დადგენილ თარიღში შეფასების პროცესში აპლიკანტის ჩართვის შესაძლებლობას.

6. აპლიკანტი, რომელიც ვერ ახერხებს კოლეჯში გამოცხადებს, შესაძლოა, შეფასდეს დისტანციური კომუნიკაციის პლატფორმის გამოყენებით.

7. აპლიკანტის შეფასების განსხვავებული თარიღები განისაზღვრება კოლეჯის მიერ დადგენილი შერჩევის ვადების ფარგლებში.

მუხლი 8. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შეფასებაში აპლიკანტის მონაწილეობის წესი

1. აპლიკანტი ვალდებულია, დროულად გამოცხადდეს კოლეჯში, გაიაროს რეგისტრაცია და მონაწილეობა მიიღოს შეფასების პროცესში.

2. აპლიკანტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. შეფასების პროცედურაზე გამოცხადებულ აპლიკანტთა რეგისტრაცია იწყება შეფასების დაწყებამდე 30 წუთით ადრე.

4. აპლიკანტი, რომელიც არ გაივლის ამ მუხლით გათვალისწინებულ რეგისტრაციას, არ დაიშვება შეფასების პროცესზე.

5. შეფასების პროცესზე, აპლიკანტი უფლებამოსილია, თან იქონიოს წყალი, პირადი ჰიგიენის ნივთები. შერჩევის კომისია აპლიკანტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ნებას დართავს მას, გამოიყენოს სხვა ნივთები, რომელიც აუცილებელია აპლიკანტისთვის.

6. შეფასების პროცედურაზე, აპლიკანტს ეკრძალება ნებადართული ნივთების გარდა სხვა საგნების (მათ შორის ელექტრონული აპარატურის, დამხმარე მასალის) გამოყენება.

7. აპლიკანტი ვალდებულია დაიცვას წესრიგი, შეფასების პროცედურაზე. აკრძალულია აპლიკანტისთვის გამოყოფილი ადგილის უნებართვოდ დატოვება, გადალაპარაკება, ხმაური, ან შეფასების პროცესისთვის სხვაგვარად ხელის შეშლა.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების უხეშად დარღვევის შემთხვევაში, აპლიკანტი დატოვებს შეფასების პროცესს და მისი შეფასება განისაზღვრება ნული ქულით.

9. რეგისტრაციასთან დაკავშირებული წესი არ ვრცელდება მოტივაციური გასაუბრების/გასაუბრების ფორმით განხორციელებულ შეფასებაზე, აგრეთვე - დისტანციური პლატფორმის საშუალებით ჩატარებულ შეფასებაზე.

მუხლი 9. შერჩევის კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, აგრეთვე იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე,

რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

1. ყოველწლიურად, თითოეულ იმ პროგრამაზე, რომელზეც შესაბამის წელს ცხადდება მიღება, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს შერჩევის კომისიების შემადგენლობას, კომისიის მუშაობის წესს. შერჩევის კომისიების შემადგენლობა და მუშაობის წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ კოლეჯის წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და უნდა ითვალისწინებდეს პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას.

2. თითოეულ პროგრამაზე (გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში) შერჩევის კომისიის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 6 პირს.

3. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, შერჩევის კომისიის წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია პროგრამის თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციების რაოდენობაზე. შერჩევის კომისიაში მონაწილეობს ყოველი თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელსაც მიღების წლისთვის განსაზღვრული აქვს მისაღები სტუდენტების ოდენობა.

4. თითოეულ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში), შერჩევის კომისიაში მონაწილეობს: პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პარტნიორი ორგანიზაციის/საგანმანათლებლო დაწესებულების/ დამსაქმებლის წარმომადგენელი.

5. ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, შერჩევის კომისიაში მონაწილეობს ინტეგრირებული ზოგადი მოდულის მინიმუმ ერთი განმახორციელებელი.

6. კომისიის წევრები აპლიკანტებს აფასებენ ინდივიდუალურად. თითოეული კომისიის წევრი შეფასების ქულას ასახავს ელექტრონულ პორტალზე, გარდა მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 10. შერჩევის ეტაპთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის წესი საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, აგრეთვე იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

1. აპლიკანტი უფლებამოსილია, არაუგვიანეს შეფასების შედეგების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვიდან 2 დღისა, კოლეჯის მიერ ორგანიზებული შერჩევის პროცედურის დარღვევის თაობაზე, დასაბუთებული პრეტენზიით, წერილობითი ფორმით მიმართოს კოლეჯის დირექტორს.

2. დირექტორი, განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, მოიწვევს საპრეტენზიო კომისიას, რომელიც უნდა შედგებოდეს ხუთი წევრისაგან და რომლის შემადგენლობაშიც უნდა მონაწილეობდეს იურისტი, ასევე - პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელები (არანაკლებ 3 წევრისა). საპრეტენზიო კომისიას თავმჯდომარეობს კოლეჯის დირექტორი. საპრეტენზიო კომისიაში არ შეიძლება შედიოდეს პირი, რომელიც მონაწილეობდა აპლიკანტის შეფასების პროცესში/შერჩევის კომისიის წევრი.

3. პრეტენზიის განმხილველი კომისია გადაწყვეტილებას იღებს, ზეპირი მოსმენის საფუძველზე, განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა და აცნობებს განმცხადებელს (მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე/ელ. ფოსტაზე).

4. საპრეტენზიო კომისია გააუქმებს შერჩევის კომისიის შეფასებას და დანიშნავს აპლიკანტის შეფასების ახალ თარიღს, თუ მიიჩნევს, რომ აპლიკანტის შერჩევის ეტაპზე არსებითად დაირღვა ამ თავითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული აპლიკანტთა შერჩევის პროცედურა.

5. საპრეტენზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 11. სარეგისტრაციო სისტემაში კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების შედეგების ასახვა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა) აპლიკანტთა რეიტინგული სიების დამტკიცება

1. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში) აპლიკანტთა შეფასების შედეგებს არაუგვიანეს შეფასების დღისა, ასახავს შესაბამისი შერჩევის კომისია, ელექტრონულ პორტალზე.

2. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, შერჩევის კომისია აპლიკანტთა შეფასების შედეგებს (შეფასების ოქმს) გადასცემს კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტს, შეფასების დასრულებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა.
3. კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი აპლიკანტთა შეფასების ოქმის მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, აპლიკანტთა შეფასების შედეგებს ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში. ამასთან, კოლეჯი აპლიკანტთა შეფასების შედეგებს სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილ შერჩევის პერიოდში.
4. აპლიკანტთა შერჩევის ეტაპის დასრულების შემდგომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით, თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფორმირდება აპლიკანტთა რეიტინგული სიები.
5. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებული აპლიკანტების რეიტინგულ სიებს (გარდა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტების რეიტინგული სიებისა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში) ამ სიების განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი.
6. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, რეიტინგულ სიას ადგენს შერჩევის კომისია, კანონმდებლობით დადგენილი წესით და შერჩევის ეტაპის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, წარუდგენს კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად.
7. თუ კოლეჯი აცხადებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მიღებას, იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, შესაბამის პროგრამაზე, შერჩევის კომისია შეადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეიტინგულ სიას, რომელსაც არაუგვიანეს შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღისა, წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად.
8. კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტების რეიტინგულ სიას (გარდა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტების რეიტინგული სიისა და იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტების რეიტინგული სიისა, რომელზე ჩარიცხვისთვისაც განსაზღვრულია ტესტირება აკადემიურ უნარებში) ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რეიტინგული სიების წარმოდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
9. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტთა რეიტინგული სიების დამტკიცებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი შესაბამის ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.

მუხლი 11^1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა
1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტები ჩაირიცხებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, თითოეულ პროგრამაზე გამოცხადებული ადგილებისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისაკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სარეგისტრაციო სისტემაში) გამოხატული ნებისა და ამ წესის მე-11^3 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.
2. საბაზო პროფესიულ პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის:
ა) 70%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური;
ბ) 30%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.
3. საშუალო პროფესიულ და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
ა) 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
ბ) პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 30%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.
4. აპლიკანტი, უფლებამოსილია, ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

5. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:
ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე კოლეჯის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
გ) აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში. (რეიტინგულ სიაში საკუთარი ადგილის შესახებ აპლიკანტის ინფორმირების შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, აპლიკანტის მიერ, სარეგისტრაციო სისტემაში სხვა პროგრამის არჩევის შემთხვევაში).
6. პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.
7. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, კოლეჯის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ხოლო, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, შესაბამის ინფორმაციას ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
8. კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ.
9. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციას კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე, ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 11². კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა
1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები ჩაირიცხებიან კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. კოლეჯი განიხილავს შესაბამისი გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ. ამ მუხლის მე-3 - მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში, ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე განიხილავს შესაბამისი გარემოებების დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

3. თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება ამ პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის მიზნებისთვის უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ვერ გამოვლინდება შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტი, პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისთვის უპირატესობა მიენიჭება იმ აპლიკანტს, რომელიც არის მრავალშვილიანი მშობლების შვილი ან ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში, როგორც შემწეობის მიმღები პირი ან არის მინდობით აღზრდაში მყოფი/მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებიდან/ სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი/ ან სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული პირი .
5. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმებით, ვერ გამოვლინდება შესაბამის პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე აპლიკანტი, კოლეჯი უპირატესობას მიანიჭებს იმ აპლიკანტს, რომელიც ჩარიცხვის წელს, სხვა აპლიკანტებზე ადრე არის რეგისტრირებული შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
6. საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტმა (აპლიკანტის წარმომადგენელმა) უნდა წარმოადგინოს ამ მუხლის მე-3-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების დამდგენი დოკუმენტი.
7. კოლეჯის დირექტორი, ამ მუხლის მე-3-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების დადგენის მიზნით, აპლიკანტებს განუსაზღვრავს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის ვადას (შერჩევის პერიოდის ფარგლებში) და შექმნის კომისიას. კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი ასახავს შესაბამის ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. კომისია გონივრულ ვადაში მიაწოდებს აპლიკანტს (აპლიკანტის წარმომადგენელს) ინფორმაციას დამატებით წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ.
8. კოლეჯის იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული

სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ჩაირიცხებიან შესაბამის პროგრამაზე დადგენილი შეფასების პროცედურების გავლის შემდგომ, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილებისა (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მისაღები ადგილების) და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისაკენ, აპლიკანტის (აპლიკანტის წარმომადგენლის) მიერ წერილობით გამოხატული ნებისა და ამ წესის მე-11³ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

9. შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის შესახებ.

10. სწავლის დაწყების თარიღამდე, კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ მონაცემებს ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 11³. ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტები

1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტი (საჭიროების შემთხვევაში, მისი წარმომადგენელი) კოლეჯს წარუდგენს:

ა) წერილობით განცხადებას, კონკრეტულ პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნით;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს ან ცნობას განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევის შესახებ. აპლიკანტმა, რომელმაც უცხოეთში/საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიღო განათლება, უნდა წარმოადგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, წარმომადგენლის მეშვეობით დოკუმენტაციის წარმოდგენისას (ასევე, არასრულწლოვანი აპლიკანტის) წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს:

ა) საკუთარი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (აპლიკანტის დაბადების მოწმობა/ნოტარიულად დადასტურებული მინდობილობა).

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, შეზღუდული ქმედუნარიანობის/მხარდაჭერის მიმღები/ქმედუუნარო აპლიკანტის წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს:

ა) საკუთარი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ)აპლიკანტის შეზღუდული ქმედუნარიანობის/მხარდაჭერის მიმღებად ცნობის/ქმედუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) წარმომადგენლობის/მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდამჭერის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი/აპლკანტის წარმომადგენელი, ასევე წარმოადგენს:

ა) ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში/სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, დამოწმებულს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;

ბ) სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:

ბ.ა) აუდიოგრამას (სმენის დარღვევისას);

ბ.ბ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემულ ცნობას (მხედველობის დარღვევისას);

გ) შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობას, ქცევითი და ემოციური აშლილობისას;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია მიიღება კოლეჯის ადმინისტრაციის მისამართზე (ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. N92). კოლეჯის იმ პროგრამებზე, რომელიც ხორციელდება ქედის მისამართზე, ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია მიიღება მისამართზე: ქედა, წერეთლის N4. კოლეჯის იმ პროგრამებზე, რომელიც ხორციელდება შუახევის მისამართზე, ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია მიიღება მისამართზე: შუახევი, ჭავჭავაძის N8. ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია ასევე, მიიღება ელექტრონულად, კოლეჯის ელექტრონული ფოსტის მისამართზე (info@blacksea.edu.ge).

6. ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 11⁴. ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლები

1. აპლიკანტს, შესაძლოა უარი ეთქვას კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვაზე, თუ მან სარეგისტრაციო სისტემაში მიუთითა მცდარი ინფორმაცია განათლების მიღწეული დონის შესახებ.
2. აპლიკანტი არ ჩაირიცხება კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, თუ ის დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს ამ წესის მე-11^3 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას ან თუ საჭიროების შემთხვევაში, მის მიერ არჩეულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე რეიტინგულ სიაში მისი ადგილის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში არ აირჩევს ერთ საგანმანათლებლო პროგრამას.

მუხლი 11^5. კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის ხელშეკრულების გაფორმება
1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტსა/პროფესიული სტუდენტის წარმომადგენლსა და კოლეჯს შორის ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება, სწავლის დაწყების თარიღამდე.
2. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ასევე, ფორმდება ხელშეკრულება პროფესიულ სტუდენტს (პროფესიული სტუდენტის წარმომადგენელს), კოლეჯსა და პროგრამის თანაგანმახორციელებელ დაწესებულებას შორის. განსაზღვრულ შემთხვევებში, დასაშვებია, ხელშეკრულება არსებობდეს მხოლოდ პროგრამის თანაგანმახორციელებელსა და პროფესიულ სტუდენტს შორის.

მუხლი 11^6. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)
1. პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში, კოლეჯი უფლებამოსილია, გამოაცხადოს მიღება დარჩენილი თავისუფალი ადგილების ფარგლებში.
2. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე მიღების გამოცხადების შესახებ ინფორმაციას კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, განათავსებს მართვის საინფორმაციო სისტემაში, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
3. პროგრამაზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, რეიტინგული სიების ფორმირება, შედეგების ასახვა და ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით დადგენილი წესით. კოლეჯის კომპეტენციას მიკუთვნებული პროცედურები ხორციელდება ამ წესის შესაბამისად.
4. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 11^7. 2022 წელს კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის საგამონაკლისო წესი
1. 2022 წელს კოლეჯის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის საგამონაკლისო წესი და პირობები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი რეგულირდება საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლით.
2. 2022 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში) რეგისტრირებულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა შერჩევა წარიმართება კოლეჯის დირექტორის მიერ დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე.
3. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე, როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.
4. პრაქტიკული მოსინჯვის შეფასების შედეგებს კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, მიწოდებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა.
5. 2022 წელს, კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, მიღების გამოცხადების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს აპლიკანტთა შერჩევას პრაქტიკული მოსინჯვის

გზით, თუ მითითებულ პროგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტს შერჩევის ეტაპი არ გაუვლია. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 12. კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე/ ტრენინგ-კურსზე/ცალკეულ მოდულზე/cisco-ს ქსელური აკადემიის სასწავლო კურსზე ჩარიცხვის წესი

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მიღების გამოცხადების, აპლიკანტთა რეგისტრაციის, შერჩევის, აგრეთვე, მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N71/ნ ბრძანებით, წინამდებარე მუხლითა და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.
2. პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე/ ტრენინგ- კურსზე/ცალკეულ მოდულზე/Cisco-ს ქსელურ აკადემიაში ჩარიცხვის უფლება აქვს პირს შესაბამისი პროგრამის/კურსის დაშვების წინაპირობების ან/და კოლეჯის მიერ დადენილი წესის შესაბამისად.
3. არაფორმალური განათლების ფარგლებში პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვა რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ის საფუძველზე;
4. Cisco-ს ქსელური აკადემიის სასწავლო კურსზე ჩარიცხვა ხორციელდება კურსის წინაპირობების გათვალისწინებით, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის და აკადემიაში ელექტრონული რეგისტრაციის საფუძველზე;
5. IT მიმართულების პროფესიული სტუდენტები Cisco-ს ქსელური აკადემიის სასწავლო კურსზე რეგისტრირდებიან ელექტრონულად და ჩარიცხვის მიზნით სხვა ცალკე აქტი არ გამოიცემა;
6. ტრენინგ-კურსზე/მოდულზე ჩარიცხვა ხორციელდება ტრენინგ-კურსის/მოდულის დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, რაც საჭიროების შემთხვევაში რეგულირდება დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით.
7. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ პროგრამებზე/ტრენინგ - კურსზე ჩასარიცხად პირმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პროგრამით გათვალისწინებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/ცნობა (საჭიროების შემთხვევაში).
8. პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტი (აპლიკანტის წარმომადგენელი) წარმოადგენს დოკუმენტაციას, ამ წესის მე-11^3 მუხლის შესაბამისად, კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში.
9. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, აგრეთვე ტრენინგ- კურსზე/ცალკეულ მოდულზე/cisco-ს ქსელური აკადემიის სასწავლო კურსზე მსმენელთა ჩარიცხვა დასტურდება მათთან დადებული ხელშეკრულებით. მსმენელებთან ხელშეკრულება იდება ამ წესის მე-11^5 მუხლის შესაბამისად.

თავი III

პროფესიული სტუდენტის/ მსმენელის უფლებები, ვალდებულებები და შეზღუდვები

მუხლი 13. კოლეჯში პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან გაფორმებული ხელშეკრულებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტებით. დუალური პროგრამის შემთხვევაში, ასევე, პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით;

მუხლი 14. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-3 თავით განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები, შეზღუდვები და სხვა რეგულაციები უნდა იქნას გაცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის, რაც უნდა დადასტურდეს ხელშეკრულების გაფორმების დროს,

პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესაბამისი ჩანაწერით.

მუხლი 15. პროფესიული სტუდენტი/მსმენელის და დასაქმებულის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 16. პროფესიულ სტუდენტს /მსმენელს უფლება აქვს:

ა) უზრუნველყოფილ იქნას სწავლების მაღალი ხარისხით. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისფარგლებში მიიღოს ისეთი პროფესიული განათლება, რომელიც პროგრამის დასრულების შემდეგ კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე;

ბ) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და უსაფრთხო სამუშაო გარემოთი;

გ) უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის მართებულად წარმართვისათვის აუცილებელი სასწავლო მასალით;

დ) გამოიყენოს კოლეჯის ბიბლიოთეკის რესურსები სასწავლო მიზნებისათვის;

ე) ისარგებლოს პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის განკუთვნილისაინფორმაციო საშუალებებით;

ვ) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა გაერთიანება ან/ და იყოს ამ გაერთიანების წევრი;

ზ) დადგენილი წესის შესაბამისად ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის უფლებებით;

თ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელზედაც სწავლობს ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

ი) თუ პროფესიული სტუდენტი სწავლასთან ერთად მუშაობს პროგრამის შესაბამისი პროფილით, შესაბამისი დოკუმენტის (ცნობის, შრომითი ხელშეკრულების და სხვ.) წარმოდგენის შემთხვევაში, ის უფლებამოსილია მოითხოვოს საწარმოო პრაქტიკაზე განაწილებული იქნას თავის სამუშაო ადგილზე;

კ) დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არ ქონის შემთხვევაში, დირექციასთან შეთანხმებით პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზით, მეთვალყურეობისფარგლებში;

ლ)პროფესიულ სტუდენტი, რომელიც ვერ/არ გამოცხადდება სწავლის შედეგების დადასტურებისათვის განკუთვნილ შეფასების საათებზე ან ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას უფლებამოსილია მოითხოვოს გადაბარება, ერთჯერ;

მ) სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შესაბამისი თანამდებობის პირებისაგან მიიღოს მხარდაჭერა მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით;“

(ცვლილება შეტანილია N01-02/133; 24/07/2020)

ნ) დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან; ო) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

პ) გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს კოლეჯის დირექტორთან კოლეჯში დასაქმებულის ან/და სხვა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის არამართლზომიერი ქმედება;

პ[1]) პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს/აპლიკანტს უფლება აქვს მოითხოვოს პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით მოქმედი კანონმდებლობით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებნული უფლებების რეალიზება, მათ შორის უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერვე მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება

(ცვლილება შეტანილია N01-02/133; 24/07/2020)

ჟ) დადგენილი წესით მიიღოს შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

2. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს კოლეჯის არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს კანონმდებლობით დადგენილი წესისშესაბამისად;

მუხლი 17. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ვალდებულებები

1. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:

ა) არ დაიგვიანოს და არ გააცდინოს სასწავლო პროცესი, ასევე, არ დატოვოს აუდიტორია მეცადინეობის მიმდინარეობის დროს (გარდა განსაკუთრებული საჭიროებებისა, სათანადო ნებართვით);

ბ) ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში მოახდინოს ადმინისტრაციის/პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმირება მეცადინეობების გაცდენის თაობაზე;

გ) არ დაანაგვიანოს სასწავლებელის შენობა და ტერიტორია, დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესები;

დ) გაუფთხილდეს და დაიცვას კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები; მატერიალური ქონება გამოიყენოს კეთილსინდისიერად, აანაზღაუროს მის მიერ კოლეჯისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანი;

ე) გაუფრთხილდეს კოლეჯის სასწავლო რესურსს;

ვ) დროულად დააბრუნოს კოლეჯის ბიბლიოთეკიდან გატანილი სასწავლო რესურსი;

ზ) არ ისარგებლოს საკომუნიკაციო საშუალებებით, რაც გამოიწვევს სასწავლო პროცესის შეფერხებას; თ) პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და კოლეჯის თანამშრომლების ღირსებას, არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი;

ი) ტელეფონის ნომრის გამოცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;

კ) დაემორჩილოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნებს და კოლეჯში დასაქმებული უფლებამოსილი პირის, ასევე, მანდატურ(ებ)ის შესაბამის მითითებებს, რომელიც არარღვევს მათ უფლებებს.

მუხლი 18. პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

ა) ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით უნებართვოდ აკრძალული ნივთიერების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და რაიმე ფორმით გამოყენება;

ბ) ალკოჰოლური თრობისას ან რომელიმე ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას კოლეჯის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება;

გ) კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის ადმინისტრაციასთან;

დ) სასწავლო პროცესისადმი ხელის შეშლა, ხმაური, საუბარი;

ე) მეცადინეობაზე მობილური ტელეფონის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სწავლების მეთოდებით;

მუხლი 19. აუდიტორიაში პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ყოფაქცევაზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მასწავლებელი. თუ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი დაარღვევს წესრიგსან კანონს და ამით ხელს შეუშლის მეცადინეობის მსვლელობას, მასწავლებელი უფლებამოსილია მოთხოვოს მას აუდიტორიის დატოვება და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პასუხისმგებლობის საკითხს მაშინვე აყენებს ადმინისტრაციის წინაშე.

მუხლი 20. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ კოლეჯისათვის მიყენებული ზიანის გამო ზიანის ოდენობის შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს (არასრულწლოვანის, ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანის შემთხვევაში– მის კანონიერ წარმომადგენელს).

მუხლი 21. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ ამ წესის მე–18, მე–19 და მე-20პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევა განიხილება დისციპლინარულ გადაცდომად და კოლეჯი უფლებამოსილია დამრღვევ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მოსთხოვოს ახსნა–განმარტების მიცემა მის მიმართ და ჩადენილი დარღვევის ხარისხის გათვალისწინებით გამოიყენოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ერთ–ერთი შემდეგი ფორმა:

ა) გაფრთხილება;

ბ)შენიშვნა;

გ) საყვედური;

დ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

მუხლი 22. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას წარჩინებული, სანიმუშო, აქტიური პროფესიული სტუდენტების წახალისების შესახებ ამ მიზნით შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე. წახალისების ფორმით შეიძლება გამოყენებულ იქნას:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი ნამუშევრით დასაჩუქრება; გ) ერთჯერადი ფულადი წახალისება (სტიპენდია);

დ) ექსკურსია.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებითუზრუნველყოფის წესი

მუხლი 23. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაძლებელია მიღებული იქნას გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის შესახებ. აგრეთვე, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შემდგომი განათლებით.

მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება დასაშვებია წინამდებარე ბრძანებით დადგენილი წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

2. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 5 წლის ვადით, გარდა აღნიშნული მუხლის მე-16 პუნქტისა;

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე;

ბ) ფინანსური დავალიანება;

გ) პირადი განცხადება მიზეზის მითითებით. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდესპროფესიული ტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი.

დ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

4. არასრულწლოვანი ან/და ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ სტუდენტის შემთხვევაში განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას კანონიერ წარმომადგენლის მიერ;

5. დუალური პროგრამის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შესაბამის პერიოდში სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა შეთანხმებული უნდა იყოს იმ პარტნიორ საწარმოსთან, რომელთანაც პროფესიულ სტუდენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება;

6. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება;

7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით გამოიცემა ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტი და მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში;

8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

9. აღნიშნული მუხლის მე-8 პუნქტი არ ვრცელდება იმ პროფესიულ სტუდენტზე, რომელმაც ისარგებლა მობილობის უფლებით და სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. ასეთი პირისათვის სტატუსის

შეჩერებისა და სტატუსის აღდგენის პერიოდი განისაზღვრება კონკრეტული მოდულ(ებ)ის ათვისების შესაძლებლობის გათვალისწინებით, რაც რეგულირდება დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით;

10. სტატუსშეჩერებული სტუდენტი (არასრულწლოვანის /ქმედუუნარო / შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პირის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია სტატუსის აღდგენის თხოვნითწერილობითი განცხადებით მიმართოს დირექციას პროგრამის შესაბამისი ეტაპის დადგომამდე;

11. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.;

12. სტატუსაღდგენილ პროფესიულ სტუდენტთან (არასრულწლოვანის /ქმედუუნარო /შეზღუდულ ქმედუნარიანი სსსმ პირის შემთხვევაში მის წარმომადგენელთან) სტატუსის აღდგენის დღეს ფორმდება ახალი ხელშეკრულება;

13. თუკი პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენა განხორციელდა ისეთ პერიოდში როცა პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე ვერ ხერხდება კრედიტების სრულყოფილად ათვისება კოლეჯი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ;

14. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

15. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის იმავე დაწესებულებაში, რომელშიც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დაწესებულება აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია პროფესიული სტუდენტის მობილობით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

16. პროფესიულ სტუდენტს კოლეჯისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ, ავტორიზაციის გაუქმების შესახებ ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის შესახებ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და ის უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით;

17. ტრენინგ-კურსის/მოკლევადინი პროგრამის/Cisco-ს აკადემიის მსმენელისათვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზუსტად არის იდენტიფიცირებული კონკრეტულ პერიოდში ანალოგიური პროგრამის/კურსის განხორციელების და მსმენელისათვის სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა.“ (ცვლილება შეტანილია 29/12/2020, N01-02/242)

მუხლი 25. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა დასაშვებია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტებითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიული

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ნიშნავს კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის უფლება- მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისუფლებისგარეშე.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნების სისტემატური უხეში დარღვევა;

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სისტემატური ან უხეში დარღვევა;

გ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლებისაღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით;

დ) სწავლის საფასურის გადაუხდელობა, თუ პროფესიული სტუდენტი არ ითხოვს პროფესიული სტუდენტისსტატუსის შეჩერებას გადაუხდელობის გამო;

ე) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების გარემოებების ხელმეორედ დადგომა;

ვ) სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა, როცა სტატუსშეჩერებული პირი/მისი კანონიერი წარმომადგენელი წერილობითი ფორმით არ ითხოვს სტატუსის აღდგენას;

ზ) დაწესებულებისათვის ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებდა პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;

თ) მოდულური პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება წინამდებარე წესის 31- ე მუხლით დადგენილი პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის შესაბამისად;

ი) კოლეჯში სწავლის დაწყებიდან ორი სასწავლო კვირის პერიოდში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;

კ) კოლეჯში ერთი თვის მანძილზე სისტემატიურად არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა (როცა შესაბამისი დოკუმენტით: განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის თაობაზე და სხვ. ვერ დასტურდება პროფესიული სტუდენტის მიერმეცადინეობების გაცდენების საპატიო გარემოება);

/კ) შესაბამის პროგრამაზე მოდულით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 50%-ზე მეტის გაცდენა. ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტს ასევე შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, თუ მას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის თემისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების დასრულების შემდგომ, დადგენილი წესით არ ექნება შესრულებული ამ თემით განსაზღვრული ყველა კომპლექსური დავალება. / (ამოქმედდეს 2022 წლის 01 ნოემბრიდან; სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2022 წლის 12 ივლისის N01-02/126 ბრძანება).

ლ) გარდაცვალება;

მ) პირადი განცხადება;

ნ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამოყენება;

ო) დუალური პროგრამის შემთხვევაში საწარმოს მიერ პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების შეწყვეტა პროფესიული სტუდენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და/ან საწარმოში გატანილი სწავლის შედეგების შესაბამის პერიოდში ვერ დადასტურების გამო;

პ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2[1]. ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტს ასევე შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, თუ მას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის თემისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების დასრულების შემდგომ, დადგენილი წესით არ ექნება შესრულებული ამ თემისთვის განსაზღვრული ყველა კომპლექსური დავალება. (ამოქმედდეს 2022 წლის 01 ნოემბრიდან; სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2022 წლის 12 ივლისის N01-02/126 ბრძანება)

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემის დღეს მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლოდაწესებულებათა რეესტრში.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯი (სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, პროგრამის ხელმძღვანელი) ახდენს პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას (ტელეფონის/ელ-ფოსტის/სხვა საშუალებ(ებ)ის გამოყენებით), მოსალოდნელი შედეგის შესახებ.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანების დაფარვისაგან, რომელიც მას წარმოეშვა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემამდე. იგი ვალდებულია დაფაროს დავალიანება.

7.ფინანსური დავალიანების დაფარვისათვის თავის არიდების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები, მათ შორის მიმართოს სასამართლოს.

8. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე.
9. წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტის, ,,ა“, ,,ბ“, ,,გ’’, ,,ი“, ,,კ“, ,,ლ“, ,,მ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევები ასევე წარმოადგენს კოლეჯის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს;
/9. წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტის, ,,ა“, ,,ბ“, ,,გ’’, ,,ი“, ,,ლ“, ,,მ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევები ასევე წარმოადგენს კოლეჯის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს;/ (ამოქმედდეს 2022 წლის 01 ნოემბრიდან; სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2022 წლის 12 ივლისის N01-02/126 ბრძანება)
/9[1]. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია შესაბამის პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მისაღწევი სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების 50%-ზე მეტის არასაპატიო მიზეზით გაცდენა./ (ამოქმედდეს 2022 წლის 01 ნოემბრიდან; სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2022 წლის 12 ივლისის N01-02/126 ბრძანება)

10. მსმენელს უწყდება სტატუსი წინამდებარე მუხლის მე-9 პუნქტისა და პროგრამის/კურსის სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროგრამის/კურსის მოთხოვნებისა ან/და ხელშეკრულების შესაბამისად;

შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისთვის საპატიო მიზეზად ითვლება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება, სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ნებისგან დამოუკიდებლი მიზეზით შეუძლებელს ხდის მეცადინეობაზე გამოცხადებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. (ამოქმედდეს 2022 წლის 01 ნოემბრიდან; სსიპ კოლეჯ „ბლექსის დირექტორის 2022 წლის 12 ივლისის N01-02/126 ბრძანება)

მუხლი 26. მობილობა

1. გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.

2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.

4. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

5. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კოლეჯში წარმოადგინოს განცხადება მობილობის შესახებ, აგრეთვე წარადგინოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია განვლილი საგანმანათლებლო პროგრამისშესახებ.

6. მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობის წესით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

7. მიმღები დაწესებულება უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

8. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორმა შესაძლებელია

შექმნას კომისია. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტის მობილობის ან მობილობაზე უარის თქმისშესახებ.

9. ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი მოდულური პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ორი თვით ადრე.

10. სხვადსხვა პროგრამების ფარგლებში მობილობა შესაძლებელია ისეთ პერიოდში, რომელიც ხელს არ შეუშლის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. გადაწყვეტილებას აღნიშნულის თაობაზე იღებს დირექტორის მიერ შესაბამისი ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია;

11. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ: ა) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12. კოლეჯში შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში თუ შეიცვალა პროგრამა და მოდიფიცირებულ პროგრამაზე მობილობა აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მდგომარეობას. დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აღნიშნულთან დაკავშირებით ღებულობს კოლეჯი, კანონმდებლობის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების უფლებებების დაცვისა და პროფრესიული სტუდენტების თანხმობის შემთხვევაში.

13.შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს კოლეჯი.

14.პროფესიულ სტუდენტთა მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, საქართველოს კანონი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

15.პროფესიული სტუდენტის მობილობით გადაყვანა/გადმოყვანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

16.დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღებიპროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

17. დაწესებულება, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში. სისტემის მონაცემების საფუძველზე ის დაწესებულება, საიდანაც გადადის პროფესიული სტუდენტი, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში ის დაწესებულება, რომლის ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზეც გადადის პროფესიული სტუდენტი, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში.

(ცვლილება შეტანილია 29/12/2020, N01-02/242)

მუხლი 27. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი

1. რეგულირების სფერო

1.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესსა და პროცედურას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

1.2. წესი შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის ბრძანება N121/ნ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის No120/ნ „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების საფუძველზე.

2. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზანი

2.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (შემდგომში – ფორმალური განათლების აღიარება) მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

3. ფორმალური განათლების აღიარების საფუძველი

3.1. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს კოლეჯი ამ წესით დადგენილი მოთხოვნებისსაფუძველზე.

3.2. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

3.3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

4. ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები და ვადა

4.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული

ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაშიმიღებიდან.

4.2. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგეტაპებს:ა) კოლეჯისთვის განცხადების წარდგენა;

ბ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება; გ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

დ) კოლეჯის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

4.3. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

5. განცხადების წარდგენა

5.1. განმცხადებლის მიერ კოლეჯისთვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს; გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვსგანმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

5.2. ამ მუხლის 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთოდეს: ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა ამ მუხლის 5.4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

დ) ფორმალური განათლების აღიარებისათვის საჭირო საფასურის გადახდის დამადასტურებელიქვითარი.

ე) ფორმალური განათლების აღიარებისათვის საჭირო საფასურის გადახდის დამადასტურებელი საჭირო ცნობა/დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5.3. ამ მუხლის 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა ამ მუხლის 5.4 პუნქტით

გათვალისწინებული შემთხვევისა.

5.4. კოლეჯი არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის 5.2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და 5.3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე დაწესებულების მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.

5.5. კოლეჯი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი კოლეჯს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, კოლეჯი განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

5.6. კოლეჯის მიერ ამ მუხლის 5.5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

5.7. თუ კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, კოლეჯი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

6. კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება

6.1. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.

6.2. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან. კოლეჯი ვალდებულია კომისიის შემადგენლობაში უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირის მონაწილეობა. კოლეჯს უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

6.3. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

6.4. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთაუმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6.5. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

6.6. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.

6.7. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც

დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

6.8. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ მუხლის 5.3 პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.

7. გადაწყვეტილების მიღება

7.1. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;

ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

7.2. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.

7.3. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.

7.4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) დაწესებულების დასახელება;

ბ)განმცხადებლის ვინაობა;

გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;

დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;

ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი; ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

7.5. კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

7.6. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში კრედიტების გადატანა (ტრანსფერი) ხორციელდება იმ პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა

სწავლის შედეგების აღიარება.

8. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მექანიზმი

8.1.ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესისა და სხვა ინფორმაციის გასავრცელებლად კოლეჯი იყენებს დაწესებულებაში განთავსებულ საინფორმაციო დაფებს, კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელსა და სხვა მეთოდებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

8.2. დაინტერესებულ პირ(ებ)ს დაწვრილებით ინფორმაციას აწვდის შესაბამისი კომპეტენციის ან/და უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ი.

9. გარდამავალი დებულებები

9.1. ელექტრონული სისტემის შექმნამდე პროცესი წარიმართება მატერიალური სახით.

9.2. კოლეჯი შესაბამისი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნამდე უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვა და სისტემის შექმნის შემდეგ 2 თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მათ ასახვას.

(ცვლილება შეტანილია 19/03/2021; N01-02/ 66)

მუხლი 28. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაშიპროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.
2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმაანთლებლო პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

თავი V

სასწავლო პროცესი

მუხლი 29 . პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება და სწავლის ხანგრძლივობა

1. კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამებს/პროფესიული მომზადების პროგრამებს/პროფესიული გადამზადების პროგრამებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. პროფესიული მომზადების პროგრამებს/პროფესიული გადამზადების პროგრამებს კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით. პროფესიული მომზადების პროგრამები/პროფესიული

გადამზადების პროგრამები დამტკიცების შემდეგ, რეგისტრირდება კოლეჯის სარეგისტრაციო ჟურნალში და ენიჭება კოლეჯის შიდა სარეგისტრაციო ნომერი. (ცვლილება: სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის ბრძანება 11.03.2022, N 01-02/39).

2. პროფესიულ სტუდენტთა სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობით. პროგრამის ფარგლებში მტკიცდება სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა.

3. მსმენელთა სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი პროგრამის/მოდულის/ტრენინგ- კურსის ხანგრძლივობით.

4. სწავლის პერიოდი შესაძლებელია გახანგრძლივდეს, თუ:

ა) პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა;

ბ) საჭირო გახდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლება; გ) ადგილი აქვს სხვა ობიექტურგარემოებას.

5. ტრენინგ-კურსის (მოკლევადიანი პროგრამა) განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მისი განხორციელების წესის შესახებ;

მუხლი 30. მეცადინეობების ჩატარების უზრუნველყოფა

1. მეცადინეობები ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

2. მეცადინეობის ხანგძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (აკადემიური საათი - 50 წუთი, შესვენება 10 წუთი).

3. პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან მეცადინეობათა შეჭრილი გრაფიკით.

4. მეცადინეობების სასწავლო ცხრილს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

5. პროფესიულ სტუდენტთა სწრებადობის აღრიცხვის მიზნით კოლეჯში მოქმედებს ელექტრონული ჟურნალი, დუალური პროგრამის შემთხვევაში, საწარმოში გამოცხადება დასტურდება პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალით. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა სწრებადობა, ელექტრონულიჟურნალის წარმოებამდე, დასტურდება მატერიალური სწრებადობის აღრიცხვის დოკუმენტით.

6. მეცადინეობების სასწავლო ცხრილი სწავლის დაწყებისთანავე აისახება ელექტრონულ ჟურნალში და განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

7. მეცადინეობების ცხრილის ცვლილება დასაშვებია სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, რაც აისახება ელექტრონულ ჟურნალშიც.

8. კოლეჯში დაწესებულია ხუთ დღიანი სასწავლო კვირა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე, შაბათი როგორც სასწავლო დღე. აღნიშნული არ ეხება დუალურ პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც საწარმოში შესაძლოა მუშაობდეს განსხვავებული გრაფიკით, შრომის კანონთა მოთხოვნების გათვალისწინებით;

9. პროგრამაზე სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური

სამართლებრივი აქტით.

10. თუ ერთი და იმავე პროგრამის პარალელურ ჯგუფებში დარჩება ჯამში 10 პროფესიული სტუდენტი დირექცია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ჯგუფების გაერთიანების თაობაზე, თუკი ეს არ გააუარესებს პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას სწავლების ცვლებიდან გამომდინარე.

11. პროფესიული სტუდენტები ისვენებენ საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსით" გათვალისწინებულ უქმე და დასვენების დღეებში, ასევე, არდადეგების პერიოდში, რომელიც ცხადდება დირექტორის შესაბამისი ბრძანებით

12. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კოლეჯის მისამართზე: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №92 ა ან/ და პარტნიორი საწარმოების პრაქტიკის ობიექტებზე, რაც მტკიცდება შესაბამისი ბრძანებით.

13. კოლეჯში საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

14.სასწავლო პროცესის ფარგლებში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების შესაძლებლობა:

ა) პროფესიული სტუდენტის მობილობის შემთხვევაში;

ბ) სტატუს შეჩერებული პირის მიერ სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, როცა პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე ვერ ხერხდება კრედიტების სრულყოფილად ათვისება;

გ) სსსმ/შშმ პირის შემთხვევაში;

დ) დუალური პროგრამის შემთხვევაში, ეპიდემიის/პანდემიის და სხვა ფორსმაჟორული გარემოებიდან გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, სწავლების პროცესი შესაძლებელია განისაზღვროს მხარეებს შორის შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის შესაბამისად, რომელიც საბოლო ჯამში უზრუნველყოფს პროფესიულისტუდენტისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ე) წინამდებარე პუნქტის, „ა", ,,ბ", ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტების გარდა, პროფესიული სტუდენტის/ჯგუფის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლების საკითხი, შესაბამისი მომართვის საფუძველზე, ასევე შესაძლებელია იქნას განხილული დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, რომლის სავალდებულო წევრები არიან: დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი. ვ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება არ გამორიცხავს პროგრამაზე სწავლისპერიოდის გახანგრძლივებას;

ზ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული უნდა იყოს პროფესიული სტუდენტი, საჭიროების შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი; (ცვლილება შეტანილია N01-02/133; 24/07/2020)

15. კოლეჯი, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, ეპიდემიის/პანდემიის დროს სასწავლო პროცესს წარმართავს დისტანციურად, მხოლოდ იმ პროგრამებთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) პროგრამის იმ სწავლის შედეგების ჩამონათვალი, რომელთა მიღწევაც შესაძლებლად მიაჩნიათ დისტანციურად (ამისათვის პროგრამაში უნდა განხორციედეს ცვლილებები და სწავლების მეთოდებში ერთ-ერთ ალტერნატივად უნდა მიეთითოს დისტანციური სწავლებაც);

ბ) ინფორმაცია დისტანციური სწავლების მიზნით გამოყენებული კომუნიკაციის საშუალებების, გამოყენებული აპლიკაციის/პროგრამული უზრუნველყოფის, ასევე მასწავლებლების/ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კომუნიკაციის შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყოფის თაობაზე;

გ) ინფორმაცია დისტანციური სწავლების მიზნით გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფისათვის შიდა მექანიზმის თაობაზე, სწავლებისა და შეფასების პროცესის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით;

დ) ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე;

ე) ინფორმაცია დისტანციურად ჩატარებული საკონტაქტო საათების მტკიცებულებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით და შეფასების მტკიცებულებების აღნუსხვისა და შენახვის წესთან დაკავშირებით.

(ცვლილება შეტანილია N01-02/133; 24/07/2020)

ვ) აღნიშნული მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროგრამაში ცვლილებების შეტანა არ ხორციელდება იმ შემთხვევაში თუკი სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კონკრეტული დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ფარგლებში, რომლის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია დისტანციურად მოდულების/ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა;

(ცვლილება შეტანილია N01-02/204; 03/11/2020)

16. ეპიდემიის/პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები შესაძლებელია დარეგულირდეს წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განხვავებულად, რაც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილია კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე;

(ცვლილება შეტანილია N01-02/204; 03/11/2020)

მუხლი 31. მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლისპრინციპების გამოყენებით.

3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგიორი ტიპის შეფასებას:ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. მოდულის კრედიტები ათვისებულად ითვლება მოდულის ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში.

5. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის, მოდულის მიმდინარეობის პროცესში.

6. თუ მოდული მოდულზე დაშვების წინაპირობაა, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები.

7. აღნიშნული მუხლის მე- 6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში მოდულის მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება ითვლება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და პროფესიულ სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

8. მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ სამუშაო 10 დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს დირექციას და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.

9. მე-8 მუხლით განსაზღვრული ვადა არ ვრცელდება გასაჩივრებულ პირველ შეფასებაზე. ამ შემთხვევაში განმეორებითი შეფასების ვადები აითვლება აპელაციისათვის განსაზღვრული ვადების დასრულებიდან.

10. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე.

11. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება.

12. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

13. დუალური პროგრამის შემთხვევაში, კოლეჯსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს საწარმოში, აწარმოებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში, უდასტურებს სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი შერჩევითადასტურებს შუალედური/საკვალიფიკაციო გამოცდის დროს.

14. დუალური პროგრამის შემთხვევაში, პირველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდება შუალედური გამოცდა, საწარმოში პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის გაანალიზებისა და პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავების მიზნით.

15. პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება მაქსიმუმ სამი სამუშაო დღის ვადაში;

16. პროფესიული სტუდენტის აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ მის ინდივიდუალურ კონსულტირებას (კონფიდენციალურობის დაცვით) ჯგუფური კონსულტაციის საჭიროების შემთხვეავში კონსულტაციის გრაფიკს ადგენს და აქვეყნებს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

(ცვლილება შეტანილია N01-02/133; 24/07/2020)

მუხლი 32. პროფესიულისტუდენტის შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) წესი

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსია გაასაჩივროს შეფასება.

2. გასაჩივრების (აპელაციის) შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ სამი სამუშაო დღის ვადაში პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/არ განხილვის თაობაზე (სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები).

3. კომისია ორი სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების საკითხს და საკმარისი/ავთენტური მტკიცებულების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის პერიოდში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს.

4. დაწესებულება არ არის უფლებამოსილი არსებული შეფასების საფუძველზე შეუწყვიტოს პროფესიულ სტუდენტს სტატუსი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებამდე.

მუხლი 33. სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

1.კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის ასისტენტის, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

3. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის

შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

5. მოდულის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის შესახებ.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოდულის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტ(ებ)ის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად.

7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ მტკიცდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის და სხვა საჭიროებების შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ივსება. გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა.შ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აზუსტებს ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს.

9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა- სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

მუხლი 34. კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

1. კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის პრეროგატივას, საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.
2. პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის კრედიტების ათვისება.
კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება (ცვლილება: სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2023 წლის 01 ივნისის N 631528 ბრძანება).
3. საკვალიფიკაციო კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
4. საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.
5. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის/უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად პირს ენიჭება შესაბამისად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე- 4/მე-5 დონის კვალიფიკაცია, რაც დასტურდება შესაბამისი დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემით.

7. დიპლომი, რომელიც გაცემულია იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან. აღნიშნულ შემთხვევაში დიპლომის გაცემის წინაპირობაა პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დადასტურება;

8. პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით.

9. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, მოთხოვნის შემთხვევაში, დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით;

10. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობის შემთხვევაში კოლეჯი, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცემს ცნობას აღნიშნული მოდულ(ებ)ის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ.

11. სსსმ სტატუსის მქონე პირი, რომელმაც ვერ აითვისა პროგრამით გათვალისწინებული მოდულების კრედიტები, ითვლება კურსდამთავრებულად და მასზე გაიცემა ცნობა, პროგრამის გავლის შესახებ, მოთხოვნისშემთხვევაში, მიღწეული სწავლის შედეგების მითითებით

12. ტრენინგ - კურსის (მოკლევადიანი პროგრამის) კურსდამთავრებულზე გაიცემა შიდასერტიფიკატი, რომლის ნიმუში მტკიცდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

13. Cisco-ს ქსელური აკადემიის შესაბამისი სასწავლო კურსის კურსდამთავრებულის სერტიფიკატი აკადემიის მიერ ელექტრონულად ეგზავნება კურსის ინსტრუქტორს Cisco-ს ვებ გვერდზე. ინსტრუქტორი სერტიფიკატების ელექტრონულ ვერსიას წარუდგენს დირექციას, რომელიც მატერიალურად ამოიბეჭდება,

მოწმდება ინსტრუქტორის ხელმოწერით, კოლეჯის დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით,

გადის რეგისტრაციას და გაიცემა შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ.

14. ამოღებულია (სსიპ კოლეჯ ბლექსის დირექტორის ბრძანება 11.03.2022, N 01-02/39).

მუხლი 35. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „კ[1]“ პუნქტით გათვალისწინებული დებულებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022 წლამდე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე ვრცელდება მხოლოდ იმ მოდულის ფარგლებში, რომელიც დაიწყება 2022 წლის 01 ნოემბრის შემდგომ.“ (ამოქმედდეს 2022 წლის 01 ნოემბრიდან.

2. წინამდებარე წესის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით და 2^1 პუნქტით გათვალისწინებული დებულებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022 წლამდე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე ვრცელდება მხოლოდ იმ მოდულის ფარგლებში, რომელიც დაიწყება 2022 წლის 01 ნოემბრის შემდგომ. (სსიპ კოლეჯ „ბლექსის დირექტორის 2022 წლის 12 ივლისის N01-02/126 ბრძანება)

3. 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებზეც ჩაირიცხებიან პროფესიული სტუდენტები 2023 წლიდან. სხვა შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის კრედიტების ათვისება. დუალური პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.